


1910 წ. კვირა ფასი 10 კაპეიკი 31 იანვარი

**შინაარსი**: რა გვმართებს, რა გვეჭირვება? (მეთაური); ზოგიერთებს, ლექსი—დუტუ მეგრელისა; აქტიორი, თეატრი და რეჟისორი—ა. იუჟინისა (თ. ა. ი. სუმბათაშვილისა); ელეგია, ლექსი—ი. მჭედლიშვილისა; ქართული დრამატიული სკოლა—პ. დადვაძისა; 119 წელი ქართული თეატრისა—პ. მ—სა; წყურვილი, დრამა 3 მოქ. (დასასრული) ს. გლახაშვილისა; ლექსი — კ. ფშაველასი; დრამატურგთა ჯილდო, წერილი მოსკოვიდან—ი. გ—სა; დრამის მოკლე ისტორია (გაგრძელება) — ნარვილისა; უცხოეთის თეატრი — ე. როსტანი და მისი პიესა „შანტეკლერი“— დ. ჯ—სა; ქართული თეატრი Ro-Ben-ისა; სომხური თეატრი — აჰარონიანის ახალი პიესა —Artemius-ისა; მუსიკა — D. Davidian-ისა; სურათები: ა. იუჟინი, ნ. გვარაძე, ზ. მელიქიანი და სხ.

---

**რედაქციისაგან** დამოუკიდებელ მიზეზთა გამო **ლევ. მეტრეველის** წერილი „სიტყვაკაზმულ ნაწარმოების საერთო დაფასება„ ამ ნომერში ვერ მიდის. სრულიად დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

---

ჟურნ. **„თეატრი და ცხოვრება“**

ერთის წლით დამატებიანად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ. თითო ნომერი 10 კ. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 2 მან., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში ი. იმედაშვილთან 10—2 საათამდე; 5—8 ს.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Контора Груз. Драм. О-ва. Іос. Зах. Имедашвили.



დამსახურებული მსახიობი და დრამატურგი
**თ. ალ. ივ. სუმბათაშვილი-იუჟინი**
ავტორი პიესათა „ღალატი“-ს, „ბორკილი“-ს, „წინამძღოლნი“-სა და სხ.

## 31 იანვარი 1910 წ.

**რა გვმართებს, რა გვეჭირვება?** ყოველი საზოგადო საქმე ცხოველმყოფელია იმდენად, რავდენადაც მისი შემადგენელი წევრნი ცხოვლად ეკიდებიან ნაკისრ საქმეს.

უკვე 30 წელიწადია ქარ. დრ. საზ-ბა არსებობს, არსებობს მუდმივი ქართული დასი, სცენა, მაგრამ ყველა ხედავს, როგორ მიზოზინობს ხოლმე სეზონი: დასი საზოგადოებას ყმდურება, საზოგადოება დასს, ორივე გამგეობას, გამგეობა ყველას... ეძებენ საქმის წინწაუსვლელობის მიზეზს და... მხოლოდ ლაპარაკით თავდება ალიაქოთი.—

ამას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს...

უმთავრესად-კი ის, რომ ჩვენში **საზოგადო მოღვაწეობა** საქმის პრაქტიკული განხორციელებით-კი არ იციან, არამედ ისე, ზერელად... საკმაოა, ვინმეს „საზოგადო მოღვაწის“ იარლიკი მიაკრან,—მორჩა და გათავდა,—საქმეს აკეთებს თუ არა, ამას აღარავინ დაგიდევს...

ან და, უმეტეს შემთხვევაში: თუ რომელიმე საქმის სათავეში მოექცა მოწინააღმდეგე, ხშირად პირადად ჩამომტერებულ პირთათვის არა სასიამოვნო ადამიანი, მოჰყვებიან და მიწასთან გაასწორებენ... მთელ **საზოგადო საქმეს!**

ასეთი არა სასურველი თვისება გვღუპავს იმ თავიდან აქამომდე...

ვინ არ იცის, რომ შენ-ჩემობა, პირადი კინკლაობა არავითარ საზოგადო საქმეში არ გამოდგება... არ გამოდგება, მით უმეტეს, სათეატრო საქმეში...

ამ მოვლენაზე მივაქცევთ ჩვენის ხალხის წინსვლის მონატრეთა ყურადღებას და კიდევ ერთხელ მოვაგონებთ თავიანთ მოვალეობას ქვეყნისა და სამშობლო სცენის წინაშე...

დღეს ქარ. დრ. საზ. საგანგებო კრებამ უნდა აირჩიოს ოთხი წევრი გამგეობისა: რავდენად შეგნებული ვართ, დღეს გამოჩნდება, დღეს გამოჩნდება—მართლა საქმე გვიყვარს, თუ იარლიყით „საზოგადო მოღვაწეობა!“...

რაიცა შეეხება მხოლოდ **სახელით წევრებს**, რომელნიც დრ. საზ. წევრებად ჩაწერილან, ხოლო კუთვნილ გადასახადს-კი არ იხდიან,—მათზე ლაპარაკიც მეტია... დროა, თვალთაგან ბინდი მოვიშოროთ, პლატონიურად საქმის სიყვარულს გვერდი ავუხიოთ და პრაქტიკულად განვახორციელოთ საქმისადმი ტრფიალება...

აი, რა გვმართებს, რა გვეჭირვება დღეს...

## ძ ო გ ი ე რ თ ე ბ ს

რა გაწუხებსო,
ვინ ეტყვის დედას,
მძიმე ავადმყოფს
როცა შვილს ხედავს?
ან შეყვარებულს
ვინ უზრახავს ცრემლს,
როს ბორკილებში
უმზერს საყვარელს?
მიკვირს, მაშ, მგოსანს
რად ეუბნებით,
მოგვაბეზრეო
თავი ცრემლებით,
როცა უყურებს
იგი მამულსა,
დაბეჩავებულს
და დაჩაგრულსა?!
როგორც ვერ შესწყვეტს
დედა ტირილსა,
ვდრე არ ნახავს
შვილს, მორჩენილსა,
და ვერ დასცხრება
შეყვარებული,
ვიდრე ჰყავს სატრფო,
დატყვევებული,—
აგრევ მგოსანიც
ვერ დამშვიდდება,
ვიდრე მამულს ხსნა
არ ეღირსება!..

დუტუ მეგრელი

## აქტიორი, ავტორი და რეჟისორი

თეატრი მოვალეა აქტიორს საშუალება მისცეს, რომ თავისი ბუნებრივი ნიჭი განავითაროს, მისცეს სამუშაო მასალა. რაც უნდა გენიოსი იყოს ინჟენერი, ის ვერაფერს მიაღწევს, თუ მას ასაშენებელს არას მისცემენ, აგრედვე არაფერს წარმოადგენს მომღერალი, თუ სამღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლს არას მისცემენ, ან მწერალი, თუ საჭერს არ მისცემენ, მაშასადამე აქტიორიც, თუ მას არ მისცემენ სათამაშოს. ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, რომელიც საფუძვლიანად დავიწყებულია ბევრის თეატრის პრაქტიკაში. თეატრი —არ არის სათეატრო სასწავლებელი. როდესაც აქტიორს მიცემული აქვს სამუშაო, მას თეატრში არც უნდა წავუყენოთ მხოლოდ ის მოთხოვნილებანი, რომელნიც სკოლის შეგირდს შეეფერება. როდესაც აქტიორს ძალას ატანთ, რომ მან შექმნას, შველით თამაშობასა და როლის შეგნებაში, შველით შეცდომის გასწორებაში და აყენებთ მას ლიანდაგზე, მაშინ სპობთ მნიშვნელობას თეატრისას, როგორც დამოუკიდებელ ხელოვნებისას, რომელიც თხოულობს დამოუკიდებელ მხატვართ და აძლევთ ხასიათს განმათლებელ, ტეხნიკურ და ბოლოს კომერციულ დაწესებულებისას. ამაზედ აშენებული თეატრი—არ ჩაითვლება თეატრად, რაც უნდა კარგად მოჩანდეს მისი საქმენი. ვიმეორებ, ჩემი რწმენაა: საერთოდ თეატრი—აქტიორია, აქტიორები, აქტიორების დასი მხოლოდ და თუ სკოლაა, ისეთი, როგორიც იყო რაფაელებისა და რუბენსების დროს; სკოლაა, რომელიც ანვითარებს ნიჭს და თხოულობს ხელობას კი არა, ხელოვნებას. ამიტომ ვისაც უნდა ეს საპატიო სახელი ატაროს, სულით უნდა იყოს აქტიორი და არა დიპლომით, ან პასპორტით. ფედოტოვისამ მიამბო, რომ მან უდიდეს ქებად ჩასთვალა ის, რომ ათის წლის შემდეგ მისის მუდამ კარგი თამაშობისა, მასთან მივიდა პ. მ. სადოვსკი, როდესაც მსახიობი ქალი კატარინას თამაშობდა „ჭირვეული ცოლის მორჯულებაში“, დასუნა თუთუნს და უთხრა: „აი, შენც აქტრისა გახდი“. აქედან ცხადად სჩანს, თუ **როგორი** სკოლა უნდა იყოს თეატრი ახალგაზდობისათვის და ან როგორ უცქეროდენ ქურუმნი ჩვენი საქმისა ახლად ფეხ-ადგმულ ხელოსანთ, განა ასეა საქმე ახლაც? მე ჩვენს თეატრზე კი არ ვიტყვი, მაგრამ აუცილებლად დაეცა ჩვენს დროში ხელოვნება: ამას ჩვენს თეატრზე არ ვამბობ, იმის გამო კი არა, რასაც ფრანგები „თავისის საყდრის გუმბათის პატრიოტიზმს“ უძახიან, არამედ იმიტომ, რომ მართლაც ჩვენსასა და ალექსანდრიის თეატრში **დაცულია ინდივიდუალური და დამოუკიდებელი შემოქმედება, როგორც პრინციპი,** დაცულია ძლიერად, ვიდრე სხვაგან სადმე რუსეთში, თუმცა ერთხანად ჩვენცა გვქონდა ლტოლვილება ხელოვნების დემოკრატიზაციისაკენ. ეს პრინციპი ინდივიდუალურ და დამოუკიდებელ შემოქმედებისა ჩვენ ყველაზე მეტად უნდა დავიცვათ, მისთვის ყოველი მსხვერპლი უნდა ვიკისროთ, უნდა ავიტანოთ გულგრილობა ჩვენდამი საზოგადოების-მიერ, განგაში და დაცემა გაზედებისა და მსხვერპლად უნდა დავუდოთ აგრედვე ჩვენი თავმოყვარეობა. მოთხოვნა ჩვენისავე თავიდან კარგის **თამაშობისა**, დაფასება იმისა, რომ ჩვენ კარგად თუ ცუდად **ვთამაშობთ,**—ეს უნდა განვავითაროთ **უმაღლეს** ზომამდე. დაუდევრობა, გულგრილობა, მასხარად აღება—ჩვენის საქმის უდიდესი დანაშაულობაა. ამას გარდა, ჩვენ, რაც უნდა გვაქონ, არ **უნდა ვიყოთ კმაყოფილი** ჩვენის თამაშობისა, მუდამ უნდა ვამაღლებდეთ მას და **ისე ვთვლიდეთ, რომ ყოველი წარმოდგენა პირველია და ყოველივე როლი პიესაში უმთავრესია**. ესეც ცოტაა. ჩვენ უნდა შევეჩვიოთ და დავისახოთ, ვით საბოლოვო მიზანი ის, რომ ყოველივე როლის შესრულებას ჩვენგან უნდა ჰქონდეს სათავე და ხასიათი არა ხელობისა, არამედ შემოქმედებისა, როგორის ზომითაც უნდა სჩანდეს იგი; ეს შეიძლება გამოჩნდეს უფრო მეტად ჰორაციუსში, თუ მას ნიჭიერი კაცი თამაშობს, ვიდრე ჰამლეტში, როცა მას უნიჭო კაცი ასრულებს. ტეხნიკაზე არას ვიტყვი: ეს ანბანია ჩვენი საქმისა. ესეც ცოტაა. ხშირად დიდად ნიჭიერ კაცთ როლს არ შეაძლევენ ხოლმე. ჩვენ იმდენი მამაცობა უნდა გვქონდეს, თუ თეატრი გვიყვარს, რომ უეჭველად რომელიმე როლი არ მოვინდომოთ, რაც უნდა ძალიან მოგვეწონოს იგი, მეორეს მხრივ როლი რაც უნდა უსიამოვნო იყოს ® მის სიპატარავე ჩვენს თავმოყვარეობას ლახავდეს, მაინც უნდა ვითამაშოთ, ვითამაშოთ სიყვარულით, როგორც ყველაზე ძვირფასი როლი. დიახ, ეს გადამეტება არ არის: საჭიროა ჩვენს თავს **ძალა დავატანოთ შევიყვაროთ** არა საყვარელი როლი. ამ გვარ მსხვერპლთა შემდეგ ადრე, ან გვიან, რასაკვირველია, აუცილებლად-კი ჩვენ სავსებით დავაკმაყოფილებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერესებს ჩვენსას, აგრეთვე ჩვენის თავმოყვარეობისას. ეს დაკმაყოფილება გამოიხატება სხვა და სხვა რამეში. უპირველესად, გახდომა წევრად ამ, შესანიშნავ თავისს წყობილებით, არტისტიულ თეატრისა, ათასჯერ მეტი ჯილდოა იმისი, რომ ჩვენ როდისღაც მოგვიხდა არ გვეთამაშნა ის, რაც გვინდოდა, ან გვითამაშია ის, რაც არ გვინდოდა. შემდეგ, შეერთებული და ძლიერი დასი ნამდვილის აქტორებისა — ეს ის ძალაა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიონ, რომელსაც ვერ დააქცევს ვერავისი ერთეული ნება და სურვილი, ვერას დააკლებს ვერც მტერი და ვერც მოყვარე: ეს საერთო ძალა მთელი ნიჭიერის დასისა ამასთანავე ძალაა თითოეულ მისის წევრისაც. და ბოლოს, მხოლოდ ამ მხრით — **შემოქმედებითი და ინდივიდუალურ ძალთა განვითარებით,** რომელსაც სარჩულად უძევს საერთო მისწრაფებანი და ინტერესები, შეგვიძლიან განვახორციელოთ ის თეატრი, რომელზედაც აქტიორს შეუძლიან სთქვას: თეატრი — ეს ჩვენა ვართო, რადგან ის მართლაც აშენებული იქნება **არტისტის დამოუკიდებელ** შემოქმედებაზე.

ერთი რუსის დიადი მოაზრეთაგანი განსაცვიფრებელის სიცხადით ახასიათებს პროცესს ყოველის ქმნილებისას--შემოქმედებისას: „გრძნობა ღრმა დაუკმაყოფილებლობისა თავის ქმნილებით, გრძნობა იმისა, რომ იგი არ შეეფერება იდეალებს **მშვენიერებისას** და აზრს ხელოვნებისას, — ახასიათებს ნამდვილს მხატვარ-ხელოვანს, რომლისათვისაც მისი შრომა მხოლოდ ტანჯვაა, თუმცა მხოლოდ მასში-კი პოულობს ცხოვრებას. ვინც მოკლებულია გრძნობას ამ მუდმივ უკმაყოფილებისას თავის ქმნილებით, რასაც შეიძლება დავარქვათ თავმდაბლობა მშვენიერების წინაშე, ის ნამდვილი ხელოვანი არ არის“. ამას სწერს კლასიკი-კი არა, რომელსაც ბევრს დასცინიან ხოლმე, რადგან ახალი არ არის. ამას სწერს 1909 წ. „ვესი“-ში ერთი საზოგადო „წინამძღოლთაგანი“ ს. ნ. ბულგაკოვი. მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოების - მიერაც. ჩვენ წინ წამოყენებულია ასეთი მოთხვნილება, ძველი, ვით ხელოვნება.*)

**ა. იუჟინი (თ. ა. ი. სუმბათაშვილი)**

*) ამ სიტყვებით მიმართა ა. ი—მა მსახიობთ მოსკოვის საიმპ. თეატრში სეზონის დაწყების წინ. დაბეჭდილია ჟურ. „Рампа и жизнь“-ში.

## ე ლ ე გ ი ა

თრთოლვით-ცახცახით მთების გადაღმა
ჩაქრა მზის სხივი უკანასკნელი.
ირგვლივ ბუნება მოიცვა სევდამ,
მწარედ ჩაფიქრდა, — ჩაიცვა ბნელი.
მთის მწვანე მკერდზე ჩასთვლიმა სოფელს,
მდინარე მოჰყვა ბუტბუტით ნანას;
შრომით მოღლილსა და ქანც-მილეულს
ტანჯვას უქარვებს მშრომელთ ქვეყანას.
მაგრამ მის ნანას კვლავ ერთვის კვნესა,
მაშვრალთ გულიდან ამოხეთქილი
და მას ხანდასმით მიჰბაძავს ხოლმე
ფოთოლი, ოხვრით ჩამოკვეთილი...

**ი. მჭედლიშვილი**

## ქართული თეატრის ისტორიის მასალები

### 119 წელი ქართული თეატრის

სათეატრო წარმოდგენები საქართველოში და[...] წყო 1790 წ. ერეკლე II მეფის დროს წაღაქ[...] და ეწოდა „სახის მეტყველება“. წარმოდგენე[...] იმართებოდა ჯერ მესხიშვილების, მერე ორბელია[...] ნების და მელიქიშვილებისას.

იმავ დროს წარმოდგენები იმართებოდა თელავ[...] ში.

თ-მა დ. ავალიშვილმა 1791 წ. დასწერა დრა[...] მა „მეფე თეიმურაზ“. შინაარსად პიესას აქვს ის, რომ მეფე თეიმურაზ კუბოში წამოდგება და დაინახავს მოქალაქეს მიდუაშვილს, ევროპიულად ჩაცმულს. გაუკვირდება საზოგადოდ ზნეჩვეულების ცვლილე[...] და წამოიძახებს: „დიახ; საქართველო უბედური ქვეყანაა! მაგრამ, ერეკლევ, შენი იმედი მაქვს, ჭმარ[...] თო სახელოვნადო“.

ავალიშვილმავე გადმოთარგმნა კომედია სუმარ[...] კოვისა „რქის მატარებელი“. ეს პიესა სამჯერ წარმოადგინეს 1791 წ. ამავე წელს გადმოითარგმნა „დედა რაყიფი ქალისა“, კომედია 3 მოქმედებად, რომელიც წარმოადგინეს 1792 წ. ავალიშვილმა იმავე დროს დასწერა ორ მოქმედებიანი კომედია ქართველთა ცხოვრებიდან „მკვდრების მუსაიფი“. არტისტებად გამოვიდნენ დავით ბატონიშვილი, თამაზ ანდრონიკაშვილი, მეფეთა ირაკლის, გიორგის თავად ავალიშვილის ქალები.

დავით ჩოლოყაშვილმა, ლირიკოს—დრამატურგმა, 1795 წ. გადმოაკეთა ერეკლე მეფის გასართობად იფიგენია რასინისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას გვიამბობს პატივცემული ა.•ს. ხახანაშვილი თავის წიგნში Очерки по исторіи груз. словесности (выпускъ 3-й. Москва, 1901 წ.)

ვინმე გაბრიელ მაიორი XVIII საუკუნეში მართავდა წარმოდგენებს, სადაც თამაშობდენ ლექსად დაწერილ სცენებს ძველი აღთქმისას. ამ წარმოდგენების ბილეთი ღირდა ორ შაურად და ზედ ლექსად ეწერა: „შაური ორი გაბრიელ მაიორი“

მეფის ნაცვალმა თ-ად. მ. ს. ვორონცოვმა 1850 წ. ქართული თეატრი-კი არ დაარსა, თუ შეიძლება ითქვს, განაახლა, აღადგინა და არც გაყრა არის პირველი ქართული პიესა. მაშასადამე 1850 წ. იანვრის ორი-კი არ უნდა ჩაითვალოს, თეატრის დაარსების სახსოვრ დღედ, არამედ 1790 წ.*).

**პ. მ.**



მსახიობი ქალი

**ბარბარე მელიქიანი**

25 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო

# ქართული დრამატიული სკოლა

(ვუძღვნი დრამატ. საზოგადოებას)

ახლა მეტი არ იქნება, ამ წერილს ასეთი სკოლის გეგმაც ჩავურთოთ. რაღა თქმა უნდა, ეს გეგმა არ შეიცავს ყველა საგნებს, მაგრამ აქ ჩამოთვლილი საგნები, ყოველ ეჭვს გარეშე, უსათუოდ სავალდებულოა ყოველი მომავალი მსახიობისათვის. როგორც მკითხველიც შენიშნავს, პირველი ადგილი ამ საგნებში **ქართულ გამოთქმას** აქვს დათმობილი— დეკლამაციას.

აი, მოკლე სქემა საგნებისა:

1. დიქცია (გამოთქმა); 2. დეკლამაცია; 3. ლიტერატურისა და დრამის ისტორია; 4. ჩვენი თეატრის ისტორია; 5. ფსიხოლოგია; 6. გრიმი და მიმიკა; 7. გალობა; 8. ცეკვა და პლასტიკა; 9 ფარიკაობა (фехтованіе); 10. ხატვა; 11 პრაქტიკული სამუშაო: წარმოდგენები, როლის კითხვა - სწავლა და სხვ.

აქ მოყვანილი საგნების მნიშვნელობას მსახიობისთვის არ შევეხებით: ცოტათი ჩახედული ადამიანისათვის იგი თავისთავად აშკარაა. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დიქციასა და დეკლამაციას, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვსპოთ მსახიობის ნაკლი ამ მხრივ. ყოველ ეჭვს გარეშეა, პირველ ხანად ხელის ფათურით სიარული მოგვიხდება, რადგანაც არავითარი სახელმძღვანელო ძაფი არ მოგვეპოვება: ახალი სკოლისათვის ჩვენვე ვადგენთ სახელმძღვანელოს და მუშაობის დროს-კი უსისტემობა ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა არა სასურველიცა. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სწავლის ნაყოფი ჩვენ შეგვიძლია დავაფასოთ და, თუ შეცდომები შევნიშნეთ, როგორიცაა, მაგალითად, — შეგირდების წარმოდგენა, როლის კითხვა და სხვ. და სხვ.. ეს პრაქტიკული მეცადინეობა ერთგვარს კორექტივს შეიტანს ყოველთვის ჩვენს მეცადინეობაში, გაგვირკვევს თან და თან გზას და გაგვიფართოვებს მოქმედების ასპარეზს. მასალა ამ საგნებისათვის ძლიერ მდიდარი გვაქვს. უნუგეშობა ამ მხრივ სულ ტყუილია და უსაფუძვლო. საჭიროა მათი დალაგება. განა ქართულად არა გვაქვს „იგავარაკები“, —ეს დაუშრეტელი წყარო სადეკლამაციოთ? განა მშვენიერი მასალა არ არის ნ. ბარათაშვილის, ერისთავის, ჭავჭავაძის, აკა-

*) თუ ვისმე უფრო დაწვრილებითი ცნობები მოეპოვება და მოგვაწვდის, დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ.

**რედაქ.**

კის და სხვების ლექსები? განა რუსულ დეკლამატორიუმს ჩამოუვარდება შანშიაშვილის, გრიშაშვილისა და სხვ. ახალგაზრდა მწერალთა ლექსების კრებული? სწორედ აქ უნდა ვეძიოთ მასალა ჩვენი შენობისათვის.

რაც შეეხება დანარჩენ საგნებს, მათი სწავლება ისე ძნელიც არ არის, როგორც შეიძლება მკითხველს ეჩვენოს. თუ მაინცა და მაინც საკუთარი ვერ ვიშოვეთ პირველ ხანად, მაშინ თავისუფლად შეგვიძლია ვისარგებლოთ რუსული სახელმძღვანელოებით სასცენო ხელოვნების ამა თუ იმ საგანში. ამ შემთხვევაში დიდ დახმარებას გაგვიწევს რუსული სათეატრო ჟურნალის „თეატრი და ხელოვნების“ მშვენიერი გამოცემები. აქ ნახავთ გრიმის, დეკლამაციის, მიმიკის სახელმძღვანელოებს. მაშასადმე, მომავალი სკოლის პირველ მასწავლებელს ერთი დარჩება გასაკეთებელი: ქართულად გადასცეს თავის მოწაფეებს თავის-მიერ წაკითხული და ყველაფერი მაგალითებით აუხსნას და ცოცხლად აჩვენოს.

მასწავლებლის ხსენებაზე, შეიძლება, ბევრს გაეღიმოს: „სად არის ამის ხალხი“-ო?— იკითხოს. მაგრამ ესეც უსაფუძვლო გულგატეხილობა იქნება: ამისათვის არის ხალხი, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს ამ სკოლას თავისი ცოდნით და გამოცდილებით. და თუ დღეს იგი არსად სჩანს, ხვალ ამ საქმის დაწყებისათანავე ჩვენ სრული უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ დაეხმარენ და თითო საათი შესწირონ იმ საქმეს, რომელზედაც ყოველი საზოგადო მოღვაწე მოვალეთ რაცხს თავს ორიოდე სიტყვა მაინც სთქვას. იკმარონ ის ცრემლი, რაც მათ ბედ-უკუღმართ ვარსკვლავზე დაბადებლ ჩვენს თეატრზე აფრქვიეს! იკმარონ, რაც სწერეს ან ილაპარაკეს! იკმარონ, რაც ანაზღეულად სთათხეს და ლანძღეს სცენის მუშები! შეიძლება ყოველივე ამით რაიმე სარგებლობაც მოუტანეს საქმეს, მაგრამ ამ ჟამად მათ წინ გადაშლილი აქვთ ფართო ასპარეზი მომავლის გამოსაჭედად. თუ აქამდე ანგრევდენ და ჰკიცხავდენ, აწი სულ სხვა ააშენონ, ახალი და გამოიჩინონ მთელი თავისი უნარი და ცოდნაც—

მარტოოდენ თითო საათის შეწირვით!..

სალსარი,—აი, მძიმე ლოდი, რომელზედაც უსათუოდ უნდა წაიბორძიკოს და ხშირად კისერიც მოიტეხოს ხოლმე ჩვენმა დაწყებულმა საქმემ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასეთი ჴვედრი არ ელის ქართულ დრამატიულ სკოლას. რასაკვირველია, ძნელი არის ამთავითვე გამოანგარიშება ყველა ხარჯისა,—ეს არც კი შეადგენს ამ წერილის საგანს. მკითხველი თვითონვე მიხვდება, რომ პირველ ხანად ამ სკოლას მეტად მცირე ბიუჯეტი ექნება. არ შევცდებით, რომ ვსთქვათ, ორიოდე მასწავლებლის გარდა არავინ მოითხოვს გასამრჯელოს-მეთქი. ამ სკოლისათვის საჭიროა ორი მოზრდილი, ესტრადიანი ოთახი და პიანინო (ქირით შეიძლება). ამ ხარჯს სავსებით დაჰფარავს შეგირდების-მიერ შემოტანილი სწავლის ფული. ესეც რომ არ იყოს, ამ მიზნისათვის სხვა წყაროც არის. ორ თვეში ერთხელ მაინც უნდა გაიმართოს შეგირდების წარმოდგენები, რომლის შემოსავალი 70—100 მანეთამდე ყოველთვის ავა: ის, ვინც დაინტერესებულია ჩვენი სცენის ბედით, ყოველთვის დაესწრება მოწაფეთა ამისთანა სავარჯიშო წარმოდგენებს. აშკარაა, ეს წყარო არც ძლიერ ფუქსავატი იქნება. დასასრულ, დრამატიულ საზოგადოებას შეუძლიან ამ მიზნისათვის თეატრის დიდი ფოიეც გამოიყენოს დროებით, სანამ მკვიდრ ნიადაგს მოიპოვებდეს.

დრამატიული საზოგადოების პირდაპირი მოვალეობაა სამშობლო სცენის აყვავება ყოველის საშუალებით. ერთ ამისთანა საშუალებას წარმოადგენს საკუთარი დრამატიული სკოლა. სწორედ ახლა უნდა იზრუნოს საზოგადოების გამგეობამ, რადგანაც იგი გაცილებით უკეთეს პირობებშია წელს, ვინემ წინედ. სხვა არა იყოს რა, ქართული თეატრის გამგე ის არის. თეატრს კი დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლისათვის. რუსეთში ასეთი სკოლები ანტრეპრენიორს მიმართავენ ხოლმე და სთხოვენ, შეგირდების სავარჯიშო წარმოდგენებისათვის თეატრი დაგვითმეთო. ჩვენ თეატრი მაინცა გვაქვს. გარდა ამისა, ჩვენი თეატრის დღევანდელი კრიზისი უსათუოდ უნდა ეძებდეს საშუალებებს ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად. და რომ სკოლა დიდ სარგებლობას მოუტანს თეატრსა, — ეს ხომ წერილის საგანი იყო.

დასკვნა?

დროა ვიფიქროთ და ახლავე სამზადისს შევუდგეთ!...

**პ. დადვაძე**

# წყურვილი

დრამა 3 მოქ. 4 სურ.

## მოქმედება მესამე

**მაია,**

| | |
|---|---|
| **ქეთო,** | **ტატე,** |
| **მარიამი,** | **გაუტანია,** |
| **ქაქალა,** | **მინა,** |
| **მიხა,** | **დავითი,** |
| **პირველი ყარაული,** | **გოგია,** |
| **მეორე ყარაული,** | **უსინათლო,** |

გლეხები და ჯარის კაცი.

სცენა მეორე სურათისა

I

**ტატე, ქეთო, მაია**

ტატეს ხმა სიმღერის—(შიგნიდან გუთნის კილოზე)

... გამჩენო! ამიხდინეო:
მაღლით მზე დამადინეო...
თუ გინდა ჩემი დარჩენა,
ციება ამაცდინეო..

**ტატე** (შიგნიდან. მეხრეების ბანი ისმის) აბა, დაუჩქარეთ, გენაცვათ, ბიჭებო!.. (აჭყვებს მათ ბანსა) ოოჰო, ჰოო... თფუ,.. შენი გამჩენის ჭირიმე, შენიი.. (სიმღერა კარგა ხნის განმავლობაში ნელ-ნელა შესწყდება) ეს ბოლოც გავიდეთ და მერე ავუშოთ.. ჰოო..

**ქეთ.** (მაიას, რა შემოვლენ სასაფლაოს მხრიდან) რომელ გუთნიდედის ხმაა?

**მაია** ტატესია, ჩემო გარდილო!

**ქეთ.** საწყლები! მუშაობაშიაც-კი მზესა ნატრობენ.

**მაია** სოფლისა, ჩემო გარდილო, მიწა, მზე და წყალია. ამის მეტი არა გააჩნიარა საზრდოთ. გლეხს თუ ეგენი დაუნატრელი აქვს—აღარა უჭირს-რა.

**ძეთ.** არა მარტო გლეხს, ჩემო გარდილო, არამედ ყოველს სულდგმულსა. განა იგივე არა სჭირიათ თვით ბატონებსა? რით განირჩევა ცხოვრებაში გლეხი ბატონისაგან?

**მაია** შთამომავლობითა.

**ქეთ.** არა, ჩემო გამრდელო, უფრო მდგომარეობითა: ბატონი ბატონობს და გლეხი მისთვის მუშაობს. აი, ახლა მე, რით განვირჩევი? დღემდის მხოლოდ ტანსაცმელით და კანის სინაზით.

**მაია** გონებით ჩემო გარდილო, გონებით.

**ქეთ.** არა, ჩემო გამრდელო, არც გლეხებს აკლიათ გონება, ხოლო იმათ არა აქვთ იგი განვითარებული. რა ვიცით, რომ მიეცათ მიხასთვის იგივე განათლება—რაც ჩემს ძმებს, თუ იგი მათ არ გაუსწრებდა?!..

II

იგინივე, **ანდრია**

**მაია** (რა შეამჩნევს ანდრიას) გაათავეთ, შვილო, ხვნაც?

**ანდ.** (მობუზული) არა, მალე გაათავებენ. (კანკალით) მე გამაცია, დეიდაჩემო.

**მაია** დეიდა მოგიკვდეს, შვილო, დეიდა. გაიქე, გენაცვალოს დეიდა, შვილო, და გათბები... (ანდრია გარბის) ღმერთო! როდის, როდის, ამოვარდება, ეს გულმკვდარი ციება-ცხელება.. როდის განთავისუფლდება...

**ქეთ.** სანამ კედელი არ დაინგრევა, ჩემო გამრდელო... ნეტა, კედლის საძირკვლამდე მიახწიეს?

**მაია** დღეს დილით, შვილო, საძირკვლამდე მიახწიეს.

**ქეთ.** მანძილი, ნეტა, დიდი აქვს?

**მაია** ამ სასაფლაოს ნანგრევ ეკლესიიდან რომ ვიანგარიშოთ, იქნება ორი ქცევის სიგრძეი.

**ქეთ.** შიგ მიხა მუშაობს?

**მაია** არა, შვილო, შიგ ილია სთხრიდა. ახლა სამუშაო აღარა არის-რა. ნაღმიც შიგ საძირკველში გაუკეთეს.

**ქეთ.** მერე, პატრუქი ვინ უნდა გაუკეთოს?

**მაია** ბედმა ილიას არგუნა.

**ქეთ.** ილიასა?.. რაღა იმ მოხუცს, სოფლის ბრძენს, არგუნეს?

**მაია** ეს თვითონაც სურდა. მიხაც ცეცხლს მიაწოდებს.

**ქეთ.** (წამოხტება) მიხა?!.. მერე, რომ დაიღუპოს?.. მაგრამ, ჰო!.. ოღონდ, მალე-კი დაინგრეს კედელი..

**მაია** დანგრევით-კი, შვილო, დაინგრევა. ხოლო თუ ბატონმა მეორედ აშენება არა ბრძანა..

**ქეთ.** მაშინ-კი სოფელი უნდა აღუდგეს წინა.

**მაია** ჩემო გარდილო! სოფელი მაგას ვერ შესძლებს. სოფელს ამით მეთაურები მოაკლდება..

**ქეთ.** ჩემი ძმა დავითი უმეთაურებს, ამისთვის უკვე მზად ჰყავს ტოლები, ახლა საჭიროა მოვიმხროთ ყარაულები..

**მაია** (ხელებ-აპყრობილი) გმადლობ, შენ ღმერთო, რომ მეთაურობა ჩემს გარდილს არგუნე... ახლა უფრო სიფრთხილე გვმართებს..

**ქეთ.** დაიგვიანეს ყარაულების უფროსებმა.

**მაია** ახლავ იმათ მიხა მოიყვანს..

*III*

იგინივე, **მიხა, ყარაულები**

**მიხ.** (რა შემოვა კედლის მხრიდან, აჩვენებს) აგერ, ისინი აქ არიან. მე-კი წყაროს წყლისათვის წავალ.

**პირ. ყარ.** ფრთხილად, მოურავმა არ შეგამჩნიოს...

**მეორე ყარ.** მოურავი ექიმთან არის. (მიხა შეხედავს ქეთოს და გავა)

**ქეთ.** გამარჯობა თქვენი! (გადაავლებს თვალს მიხას)

**მაია** რად დაიგვიანეთ?

**პირ. ყარ.** გაგიმარჯოთ!

**მეორე ყარ.** ამხანაგებში გვქონდა სჯაბაასი.

**ქეთ.** მერე, დაიყოლიეთ?

**პირ. ყარ.** თვითონ ახლაც არ არის თანახმა.

**მეორე ყარ.** თანახმა რომ არ ვიყვე, არც აქ ვიქნები, მაგრამ..

**მაია** შვილო! კარგა დაუფიქრდი, რა ყოფაში ხართ.

**მეორე ყარ.** ეგ-კი ანგრეა, მაგრამა. მე ამისათვის რომ ჯამაგირს მაძლევენ? ამ ჯამაგირით-კი მე ჩემს ცოლშვილს ვარჩენ.

**ქეთ.** რაში გინდა იგი ცოლშვილი, თუ-კი შვილები სნეულნი გაგეზრდებიან.

**პირ. ყარ.** მერე, თვით ამას უწევს ორი შვილი ციებ-ცხელებით.

**მეორე ყარ.** რა ვიცი, მერე ამ კედლის ბრალია?

**ქეთ.** ნუ თუ ვერ ამჩნევ, რომ ეს კედელი მზეს ეფარება? მე ხომ ვყოფილვარ შენს მიწურშია? განა რაც იქ სინათლეა, ისევე ბნელა ბატონის სახლშია!

**მეო. ყარ.** მარა იქნება მზე იმ ხარეს არის.

**ქეთ.** ეს კედელი რომ აინგრეს, მზე თავის სხივებს ამ მხარესაც ყველასათვის თავისუფლად გადმოაშუქებს. ან წყარო განა არ დაგილევია, მისი გემო ხომ გაგილია?

**მეორე ყარ.** რაც ყარაულად ვარ, მე იმ წყალსა ვსვამ.

**პირ. ყარ.** ჩვენი ცოლ-შვილი-კი იმ მდარე წყალით იკვებება.

**ქეთ.** რომ სვამ, ის ანკარა წყარო, განა გემრიელია? მაშ ნუ თუ არა გრძნობ, რომ იგი ყველასათვის მარგებელია?

**მეორე ყარ.** მე განა კედლის დანგრევის წინააღმდეგი ვარ?..

**ქეთ.** მაშ რა გაბრკოლებს?

**პირ. ყარ.** ეს ამბობს: „ვაი, თუ მერე ისევ სოფელს მოუხდეს აშენებაო. მაშინ თუ სასყიდელს აძლევდენ, ახლა ძალად ააშენებინებენო“.

**მეორე ყარ.** ეგეცა და ბატონი...

**ქეთ.** თქვენ ჩვენ მოგვყევით და ველარ გაბედავს ჩვენი მამინაცვალი.. (მაიას) ეს რა წამომცდა..

**მაია** „ზოგჯერ თქმა სჯობს“.. ჩემო გარდილო, ქალბატონო ქეთევან!

**პირ. ყარ.** (გაკვირვებული ქუდს მოიგლეჯავს) როგორ, თქვენ ჩვენი კეთილი ბატონის შვილი?!.

**მეორე ყარ.** (ქუდ-მოგლეჯილი გამოეჭიმება) გერი დიდი ბატონისა? მერე მაგ ტანსაცმელში?

**მაია** ჯერ ჩუმად, შვილო! ორივემ პირზე ხელი მიიფარევით..

**ქეთ.** მე და ჩემი ძმა, გერნი თქვენის ბატონის მოადგილესი, ხოლო ჩვენის მზრუნველის, ვით მტარვალს, გამოვეცალეთ. მოველით აქ, რომ სოფელს შევუერთდეთ და დავანგრიოთ ეს კედელი. დავანგრიოთ ჩვენ შორის მზისა ამქოლი, წყაროს დამხშობი, დავიხსნათ სოფელი სნეულებისაგან, რომელიც თქვენსკენაც ხელ-გამოშვერილი დახმარებას ელის..

**მაია** ქალბატონი მარიამიც განშორდა ბატონს, წავიდა ქვეყნის მბრძანებელთანა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წყურვილი**, მოქ. 3, გამოსვლა VII. ნახატი **ო. შმერლინგისა**



მათ უზენაესის ბრძანებით დაუბრუნდეს, რაც-კი რამ ჩვენს კეთილს ბატონს აქ ჰკუთნებია.

**პირ. ყარ.** (აღფრთოვანებით) მაშ, გაგვიძეხით! თქვენთან თავს დავდებთ მბრწყინვალე მზისთვის.

**მეორე ყარ.** მე რაღას ვაქნევ!.. მოგდევთ მეც უკან. არ დავიხევი, თუ გინდამც მოვყვე ამ კედელსა, ჩვენ წინ აყუდებულსა.

**მაია** წყნარად, შვილო, ნუ აღელდებით. გულის სიმშვიდე და მოფიქრება საქმეს არ ავნებს. თქვენში მომხრე კეთილსა კვალი აჩვენეთ, ხოლო ურჩსა-კი გზა აუბნიეთ...

**მეორ. ყარ.** ეგ მე მომანდეთ...

**ქეთ.** მაშ გასწით ახლავ. ყველა კეთილი თან წაიყვანეთ ხევის კოშკშია. იქ ჩემი ძმაა ყმაწვილ-ბიჭებით, მას შეუერთდით. ყველას თვით ჩემი ძმა გიმეთაურებთ.

**მაია** იყავით მისი მორჩილნი ამა სოფლის განათლებისათვის.

**პირ. ყარ.** (შესდგება) მაგრამ მინა ბატონთან რომ წავიდა? ახლა მისული იქნება...

**ქეთ.** (მაიას) ვინ მინა არის! ნუთუ გაგვიგეს და გვიღალატეს?...

**მაია** მინა ვანელი უნდა იყვეს. ამას წინად რომ შენ გეკამათებოდა, მეტოქეა გოგიასი...

**პირ. ყარ.** პეტრიას ქალსა, ნინასა, სთხოვდა.

**ქეთ.** მაშ, გაგვცემს—თუ იცის რამე.

**პირ. ყარ.** არა იცის-რა გარდა იმისა—რაც უკვე გაგებული აქვს სოფლის წარმომადგენელებისაგან.

**მაია** მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

**ქეთ.** (სწერს წერილს) მაშ, ყოველ ამას მივსწერ დავითსა

**პირ. ყარ.** (ყარაულს) შენ ეს წერილი წაიღე. მე-კი წავალ და გამოვიმძღვანებ ყოველს ჩემს ამხანაგებსა.

**ქეთ.** მერე ენდობი იმათა?

**პირ. ყარ.** როგორც ჩემს თავსა. ეგ მე მომანდეთ.

**ქეთ.** აი, გასწით, გახსოვდეთ ყველას: მზე და წყარო, რომელიც არის თქვენთვის დახშული.

**მეორ. ყარ.** ეგ დაეკვეთოს—ვინც უღალატოს.

**პირ. ყარ.** ამინ! (გავლენ ორივენი)

**ქეთ.** საჭირო იყო მაგათი მხარი..

**მაია** ღმერთო! ჩვენო გამჩენო! გვაღირსე შენით მონიჭებული: ნათელი მზე და ანკარა წყარო...

**ქეთ.** გამრდელო ჩემო! დროა წავიდეთ და ვაცნობოთ ყოველი ეაა მამა ილიას. გარად ამისა დავალებული მაქვს დავითისაგან: შევამზადოთ სანეტარო დროსათვის ყველა..

*IV*

იგინივე, **მიხა**

**მაია** (რა შეამჩნევს მიხას ლიტრით) აგერ მიხაცა..

**ქეთ.** ახალი ხომ არა იცი რა?..

**მიხ.** ყოველივე ისევ ისეა, ქალბატონო!..

**ქეთ.** არა გრცხვენიან? ნუ თუ ახლაც მე შენი ქალბატონი ვარ?.. ნუ თუ სოფლის ქალებსა ამ ტანსაცმელში მაინც არ ვგევარ?..

**მიხ.** (ენის დაბმით) არა, არ..

**მაია** მიხა გლეხია, მაგრამ მაინც იცის ფასი ბრწყინვალე მზის; მისთვის დახშულსა, როგორ შაადრის მზისით მთვარესა.

**ქეთ.** ჰო, და, ჩემო გამრდელო, მზეს ხომ მაშინ შეეძლება ამა სოფლის განათება, როს კედელი დაინგრევა?..

**მიხ.** (წინ წამოწევით აღფრთოვანებული) ... გამოცოცხლდება..

**ქეთ.** (მიიწევს მიხასკენ, თითქოს უნდა ჩაეკრასო) მაშინ მეც..

**მაია** (თრივეს) როს დაინგრევა!..

**ქეთ.** (თავშეკავებული) ეგ წყაროს წყალია?..

**მიხ.** დიახ..

**ქეთ.** მწყურიან... გთხოვ დამალევინო..

**მიხ.** ინებეთ, შენი ჭირიმე.. (მიაწოდებს) მიირთვით..

**ქეთ.** მეორედ, რომ წასვლა დაგჭირდეს?..

**მიხ.** თქვენთვის..

**მაია** დროა..

**ქეთ.** (რა დალევს წყალს, დაუბრუნებს ლიტრას) დროა, დრო.. დიახ, დროა.. აბა, გაგვიძეხ, მიხა, მამა ილიასთანა.. (გადიან)

*V*

უსიტყვოდ გაივლიან სოფლისაკენ: ტატე დვედაკიდებული და რამდენიმე მეხრე მხარზედ უღელებგადებულნი, შემდეგ გაისმის სალამურის ხმა.

*VI*

**მაია, ქეთო**

**მაია** მაშ, სალამურის ხმა ნიშანია ხელშეუშლელობისა. მეც მალე მაცნობე ნიშანი ზარისათვის, რომ ზარის ჩამოკვრას მოჰყვეს ნგრევა ამა კედლისა.

**ქეთ.** რომ იცოდე, ჩემო გამრდელო, როგორ მოველი მაგ წუთსა..

**მაია** ფრთხილად იყავი, ჩემო გარდილო! გულის ხმას არ გაჰყვე, მაგით ნიშანი არ დააგვიანო..

**ქეთ.** გასწი, ნუ გეშინიან.. (მაია გავა სასაფლაოსა და კედლის შუა) როდის, როდის დაინგრევა ჩვენ შორის ეს კედელი და მომესმის მიხასაგან გაუბედავი სიყვარული.. როდის ჩავეკრობით ერთმანეთსა, ვით ბუნების შვილნი.. (სალამურის ხმა შესწყდება. გაკვირვებული აქედიქით იყურება) ეს ნიშანია... ფეხის ფაჩუნია..

*VII*

იგივე, **მინა, გაუტანია, ჯარის კაცნი**

**მინა** (გამოექანება ქეთოსაკენ) აი, ბატონო, ეს ის ქალია, რომელიც ჩვენ გვაორგულებდა..

**ქეთ.** (გაუსხლტება მინას ხელიდან. გაუდგება განზე და დაუმიზნებს რევოლვერს) შორს! არ მომეკარო.. მაშ, ეგ, შენა ხარ ერთგული ბრმა ბატონისა? აი, შენი ჯილდო.. (ესვრის)

**მინა** (უცემა) აკი, მაინც, გავხდი წერა.. დავკარგე ნინო..

**გაუტ.** დაჰყარეთ იარაღი.. (ჯარის კაცს) მოემზადე, არ მორჩილდება..

**ქეთ.** (ჩუმად) ეგ არის შენი სიყვარული და ჩემი ძმის მეგობრობა?...

**გაუტ.** (ჯარის კაცს) ესროლე!..

**ქეთ.** (დაუმიზნებს, მაგრამ ვერ მოასწრობს და თვით დაეცემა ჯარის კაცისაგან დაჭრილი) მაშ შენც.. (მოისმის ზარის ხმა და მას მოჰყვება ნაღმის გრგვინვა)

**სურათი:** კედელი გაირღვევა და კარგა მორდილად დაინგრევა. სინათლე. მზე გამოჩნდება, ხოლო დასავლეთისაკენ გადახრილი. ერთს მხარეს გამოჩნდება საბატონო სასახლე, მეორე მხარეს ეკლესია. ამა მეორე მხრიდან გადმოჩუხჩუხდება ანკარა წყალი და წავა ნარუვზე. გაუტანია და ჯარის კაცნი გაშტერებულნი უყურებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქეთ.** *(წამოიწევს პაუზის შემდეგ)* იბრწყინე, მზეო, კაცობრიობისა...

VIII

იგინივე, **მიხა, გლეხი**

**მიხ.** *(მოჰყავს ფეხ-მოგლეჯილი გლეხსა)* ღმერთო გამჩენო! ნუ ჩააქრობ ჩემს მზესა, ქეთევანსა..

**ქეთ.** მიხა!.. *(წამოიწევს)*

**მიხ.** *(ჩაეკონებიან)* ჩემო სინათლევ!..

**გაუტ.** *(გამოერკვევა)* მე რაღას გავშტერებულვარ?., *(ჯარის კაცო)* გარს შემოერტყით...

IX

იგინივე, **დავითი, გოგია, მარიამი და სხვა დიდ-პატარანი**

**დავ.** *(შემოსვლისთანავე)* მე სად ველოდი და, აი, სადა ყოფილან—გოგია! შენ გვერდით..

**მარ.** *(სოფლის მხრიდან შემოვარდება ხელში ქაღალდით. გაუტანია და დავითი ვერც-კი მოასწრობენ დაპირდაპირებას საბრძოლველად)* შესდექით!.. ნუ გინდათ უბრალო სისხლი.., *(ამ დროს მოისმის გაბზარულ ზარის ხშირი ხმა)* თქვენა, ყმაწვილო გაუტანია?!.. აი, ბრძანება...

**გაუტ.** *(გამოეჯიმება და ჩამოართმევს ქაღალდს)* დიახ, მე გახლავართ...

**ქეთ.** მიხა..

**მიხ.** ქეთევან.

**გაუტ.** *(კითხულობს გაოცებით)* ეს ხომ..

**მარ.** *(გაექანება ქეთევანისაკენ)* მსხვერპლი?!..

**დავ.** *(რა იცნობს დის ხმას)* დაო, ქეთევან!.. *(წამოსწევს და უსინჯავს ჭრილობას)* ჩქარა ექიმი..

**მარ.** *(ქეთოს წინ მუხლზე დაეცემა)* შვილო ქეთევან!.. ჩემი მსხვერპლი ხარ..

**გაუტ.** *(გაოცებული)* როგორ! ქეთევანი?!..

**დავ.** შენი სატრფო!!.. ბრმაო ბრძანებისავ! ხედავ, ვის დაუმოკლე დღენი?.. *(წამოიწევს)* მაგრამ მე გადაგიხდი...

**ქეთ.** *(დავითს შეაჩერებს)* არა, ძმაო!.. მე და მიხა ერთად დაგვმარხე..

**მიხ.** *(გადაესვენება)* ჩემო სინათლევ..

**ქეთ.** *(ერთმანეთზე გადასვენებულნი)* ... ნიშნად სიყვარულისა...

**დავ.** *(თავ ჩაქინდრული)* მაგით გაიდება ხიდი?!.. ჩემო დაიკო! ხიდი ხარ კაცობრიობისა...

X

იგინივე. **უსინათლო, ქაქალა, პეტრია; ტატე**

**უსინ.** *(შიგნიდან)* მიმიყვა, შვილო, სადაც გაირღვა კედელი, ჩვენ წინ აყუდებული...

**ქაქ.** *(გამოჩნდება. ანიშნებს)* აქედ, პაპია, აქედ..

**უსინ.** *(ამ დროს იგივე ზარის ხმა. მხოლოდ მძიმე გლოვის ნიშნად)* ვგრძნობ, შვილო, ვით ბნელ ოთახში მზის სხივსა შემოჭვრეტილსა.. *(ზარის ხმაზე თავს დაიქნევს)* ხოლო მესმის სოფლის ზარის ხმა, ვითა გლოვისა...

**პეტ.** *(ამ დროს შემოდის, მწუხარებით)* ნაღმმა მოიყოლა მამა ილია..

**უსინ.** გლოვა, გლოვა ხალხის ზარისა... *(მუხლის მოყრით)* მამა იყო ამა სოფლისა...

**მაია** *(მუხლ მოყრილი)* წმინდათა წმინდაო... *(რა შეამჩნევს სურათს, გაშტერდება)*

*(სურათი თანდათან ირკვევა: კედლის უკან მეღვსიის გუმბათზე წმინდა დრუბელზე გამოჩნდებიან: ქეთო და მიხა მუხლ-მოდრეკილნი, ხოლო მათ უკან ზეზე ილია, რომელიც ერთის ხელით უთითებს მზეზე, ხოლო მეორეთი მათ ლოცავს)*

**მარ.** *(თავ-დახრილი)* მომიტევენ..

**მაია** აგერ, სული მისი.. *(ქეთოსა და მიხაზე უჩვენებს)* მიაქვს ამათი სული, რომ უზენაესმა დააგვირგვინოს..

**უსინ.** ... მათი გულისთქმა იქ ზენას ამცნოს...

*(ფარდა ნელ-ნელა ეშვება)*

1909 წ. **ს. გლახაშვილი**

*
* *

ფაქიზი რწმენით სულ-აღგზნებულმა
ადრე დავკარგე სიმშვიდე სულის,
თავგანწირულად მივსდევ კარნახსა,
გესლში მრავალჯერ ნაწრთობის გულის!
დე, კვლავ მიმსხვერპლოს ცილისწამებამ,
ბილწთ კვლავ მატვირთონ წამების ჯვარი;
მაინც დავუკრავ ჩემს ჩანგს მკვნესარეს,
გულს ვერ შემიკრთობს სვე-ბედი მწარი...
ბოღმაში ჩავრგავ იმედის ვარდსა,
ცრემლებს ვაპკურებ, ვით ცვარსა ციურს,
ჩემს ყოფას გავსთქვეფ კაცთა ტრფიალში,
ღიმილით შევსვამ გესლსა ქვეყნიურს!..

**კ. ფშაველა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დრამის მოკლე ისტორია

### 4

### კომედია.—არისტოფანე.

ნიჭიერმა ბერძნის ხალხმა დიდებული ლიტერატურა შექმნა ძველს დროს არა მარტო შინაარსის მხრივ, არამედ გარეგნულადაც, ფორმის მხრივ; თითქმის ყველა ფორმა — გამოხატულება აზრთა თუ გრძნობბათა მწერლის-მიერ, რასაც ჩვენს დროში ვხედავთ, რითაც დღე-მუდამ ვსიამოვნობთ და აღტაცებაში მოვდივართ, — ყველა ეს ფორმები მხატვრულ ნაწარმოებთა ჩამოაყალიბა და გამონავთა ძველი საბერძნეთის გენიოსობამ. აიღეთ თუნდა ფილოსოფია, თუნდა ლირიკული და ეპიკური პოეზია; ასევე იყო დრამატიულ პოეზიაშიაც; მაშინვე შეიქმნა ფორმა ტრაგედიის (ესხილოსი და სოფოკლე), დრამისა (ევრიპიდე) და კომედიისაც.

თვით სახელწოდება „კომედია" — სანადიმო სიმღერა—გვაჩვენებს, თუ საიდან წარმოსდგა ეს დარგი ხელოვნურ ნაწარმოებისა. ბახუსის დღესასწაულის შემდეგ იმართებოდა ნადიმი, რომლის დროსაც უმართებულო ლექსებს მღეროდენ და თან თამაშობდენ. აი, ამ ჩვეულებიდან ნელ-ნელა დაიბადა და შემდეგში განვითარდა კომედია. ზემოხსენებულს ლექსებს პირველად თავი მოუყარა და პიესისებური ხასიათი მისცა სუზარიონ მეგარელმა.

ნამდვილ კომედიის შემქმნელად ითვლება ეპიხარმოს კოხელი, რომელიც სიცილიაში ცხოვრობდა. მაგრამ იმის თხზულებას არც ერთს არ მოუღწევია ჩვენამდის. მხოლოდ ის ვიცით, რომ რომაელი მწერალი პლავტუსი ბაძავდა მას, მაგრამ გაცილებით უფრო მდარე კომედიებს სწერდა.

პირველში კომედია თუ უბრალო ჩვეულების გამომხატველი იყო, განვითარების შემდეგ იგი გადაიქცა საშინელ იარაღად ავტორის ხელში, რომელიც სასტიკად და მოურიდებლად ჰკიცხავდა ნიშანში ამოღებულს საზოგადო ცხოვრების ცუდს მხარეს, თუ კერძო პირებს. ავტორები შეზღუდულნი არ იყვნენ არავითარი ცენზურით და ლაგმებით. თავისუფლად შეეძლოთ, რაც სურდათ, კომედიის შინაარსად აეღოთ და გაეკიცხათ. ძველი ბერძნული კომედია უმთავრესად პოლიტიკური იყო, რადგანაც თითონ ბერძნების საერთო ცხოვრება თხოულობდა ამას. მართლაც დიდი სამსახური გაუწია კომედიის შხამიანმა დაცინვამ და ცუდი მხარების გამომზეურებამ; უფრო ხშირად კომედიის საგანს შეადგენდა საზოგადო მოღვაწის მოქმედების დაფასება. თუმცა ბევრჯელ სამართლიანი იყო ასეთი გაკიცხვა და ბიწიერების გმობა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმავე კომედიას სასაცილოდ გაუხდია ღირსეული და ყოვლად პატივცემული ხალხიც, როგორც, მაგალითად, არისტოფანემ სოკრატე თითქმის სულელად გამოიყვანა თავის კომედიაში— „ღრუბლები".

მაშინდელი ავტორი არამც თუ თავის გმირებს ალაპარაკებდა თავის ნებაზედ, არამედ შეეძლო მაყურებლისათვის პირდაპირ გამოეთქვა თავისი აზრი—პარაბაზისის დროს: — ხორო სცენიდან ორკესტრის ადგილას გადადიოდა და მიუბრუნდებოდა საზოგადოებას; პიესის ავტორი ან თითონ, ან ხოროს მეთაურის პირით ელაპარაკებოდა მაყურებელს თავის გრძნობებსა და კერძო საქმეებზე ყველაზე მეტად ასეთის თავისუფლებით სარგებლობდა არისტოფანე—კომედიების დიდებულია მწერალი.

არისტოფანეს ცხოვრების შესახებ ძალიან მცირე ცნობებია დარჩენილი. არ ვიცით, როდის დაიბადა და როდის მოკვდა, ვიცით მხოლოდ, რომ. იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა თავის დროის პოლიტიკურ მოძრაობაში. მომხრე იყო მშვიდობიან პოლიტიკისა და არისტოკრატიულ პარტიისა. ვიცით აგრეთვე, რომ პირველი მისი კომედია წარმოადგინეს 427 წელს (ქრ. შ—დე) და უკანასკნელი 390 წ. (ქრ. შ—დე). ამ ხნის განმავლობაში იგი შეუწყვეტლივ სწერდა პიესებს; პირველი სამი კომედია მან ფსევდონიმით გამოაქვეყნა, მეოთხე-კი — „მხედრები"—უკვე თავის სახელით. ძველად ცნობილი იყო იმის სახელით 44 პიესა, მაგრამ აქედან 4 ითვლებოდა ყალბად, — მას არ ეკუთვნოდა. ჩვენამდის მოახწია, სათაურებისა და მრავალ ნაწყვეტების გარდა, 11 კომედიამ, რომლებიც წარმოადგენენ ერთად ერთს მთლიანს ნიმუშს ძველ მწერლობისა დარგისას. ქრონოლოგიურად ეს პიესები შემდეგია: 1, აქარნელები (425 წ.). აქ არისტოფანეს გამოხატული აქვს მშვიდობიანობის სიკეთენი იმ აზრით, რომ ათინელები დაერწმუნებინა და ზავი შეეკვრევინებინა.; 2, მხედრები. 424 წ. ამ კომედიაში მასხარად აგდებულია დემაგოგი კლეონი.—3, ღრუბლები, 423 წ. არისტოფანეს საუკეთესო კომედიაა. კომედიაში გაკიცხულია მეტაფიზიკა და თანამედროვე ფილოსოფია—სოკრატეს სახელით; წარმოდგენის დროს კომედია დააჯილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოვეს მესამე საჩუქრით. 4, კრაზანები, 422 წ. აქ გაკიცხულია ათინელების დავიდარაბის მიმდევრობა. 5, მშვიდობიანობა. 421 წ. პიესას ერგო მეორე ჯილდო. 6, ფრინველები. ძალიან მახვილი პიესაა, მიიღო მეორე ჯილდო. 7, ლისისტრატე, 411 წ. გამოყვანილია ქალების შეთქმულობა ქმრების წინააღმდეგ. 8, ქალები ფესმოფორის დღესასწაულზე, 410 წ. მიმართულია ქალთმოძულე ევრიპიდეს წინააღმდეგ. 9, ბაყაყები — 405 წ. ამ კომედიამ მიიღო პირველი ჯილდო. 10, ქალები სახალხო კრებაზე, 389 წ. 11, პლუტარი — 388 წელს. არისტოფანეს კომედიების დანიშნულება ის კი არ იყო, რომ მაყურებელი გაერთო და გაემხიარულებინა, არამედ ის, რომ მათთვის ჩაეგონებინათ პოლიტიკური კეთილდღეობის საჭიროება და ზნეობრივი სიფაქიზე; ამიტომაც ავტორს აპატიებდენ ხოლმე შიგა და შიგ ჩართულ უხამსურ და უწმაწურს ადგილებს. არისტოფანე იყო შემკული გამბედავის სიტყვით, მგვეთრის დაცინვით და გასაოცარის ოცნებით; აგრეთვე ენა მშვენიერი ჰქონდა და პოეზია სინარნარით სრული. ამასთანავე იგი იყო „მეტის-მეტი თავხედი, უმართებულო და უშვერი..

**ნარვილი**

## დრამატურგთა ჯილდო

(წერილი მოსკოვიდან)

ბედნიერია ის დრამატურგი, რომლის სიტყვასაც ერთის მხრივ ხორც-შემსხმელი ჰყავს და მეორეს მხრივ მაყურებელ-მსმენელი. ამგვარ პირობებში ავტორსაც ფრთა ესხმის, აღფრთოვანება უძლიერდება და მზად არის მთელი თავისი არსებით შეეწიროს არჩეულ საგანს... ასეა სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში, ხოლო ჩვენში კი?..

ხშირად მოხდება, რომ ერთი უბრალო შეცდომით ავტორს ხალისი და უნარი ჩავუქროთ, სამუდამოდ ხელი ავაღებინოთ დაწყებულ საქმეზე.. სხვა ქვეყნებში ახალს პიესას, თუ პირველი დადგმით სათანადო შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, რაოდენჯერმე სდგავენ, საზოგადოებას იძულებულსა ჰყოფენ, წარმოდგენას დაესწროს, ავტორს საშუალებას აძლევენ თავის შენაქმედს ჩაუკვირდეს... ვიმეორებ ჩვენში ასე არაა: თუ ერთხელ როგორმე დადგეს ვისიმე პიესა, მერე ისე მიივიწყებენ, რომ იქნება პიესის დედანიც ვერ იპოვოთ... საავტორო ჯილდოს ვიღა სჩივის?!

ვერ წარმომიდგენია, როცა ხეს ფესვები გაუხმება, ნაყოფი ვითღა უნდა მოისხას?!

თითქოს თავისი თავის იმედი და რწმენა გაგვქრობოდესო, თითქოს არარად მიგვაჩნია ჩვენთა დრამატურგთა ნაშრომი, ოდნავ ყურადღებასაც არ ვაქცევთ...

ამ ბოლო ხანებში რამდენიმე ორიგინალური პიესა დაიწერა და ზოგიერთი მათგანი წარმოდგენილ იქმნა სცენაზე, — უკვე წარმოდგენილი ზოგიერთი პიესა საზოგადოებამა და პრესამ მოიწონეს, ღირსად სცნეს ყურადღებისა და...

ამით გათავდა ყველაფერი. ავტორს-კი, არამც თუ პრემია, საავტორო ჯილდო, — არამედ ქაღალდისა და მელნის ფულიც ვერ მიუღია...

ჩვენის თეატრის გულშემატკივართა ყურადღებას მივაქცევთ ამ საგანზე: დროა იგულისხმონ, რომ თუ, მაგ., რუსეთში შეიძლება უკვე ნათამაშევ პიესების პრემიით დაჯილდოება, თუ იქ ყოველ ავტორის სასარგებლოდ გადაწყვეტილ პროცენტს იხდის ანტრეპრენიორი, რატომ ეს ჩვენშიაც არ უნდა შემოვიღოთ?..

ღირსეულს ჯილდო, მშრომელს გასამრჯელო!..

ი. გ.

## ჩვენი მსახიობნი



ახალგაზრდა მსახიობი

**ნიკო გვარაძე**

**ნიკო გვარაძე,** ახალგაზდა მსახიობი, სულ ექვსი—შვიდი წელიწადია სცენაზე გამოვიდა. პირველად გამოსვლისათანვე ისეთი ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებისა და სცენის მუშაკთა, რომ შემდეგი სეზონისთვის ქუთაისში გაიწვია ვლ. ალექსი-მესხიშვილმა, რომლის ხელმძღვანელობითაც გამოიწვრთნა და მის ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლება დღესაც. სთამაშობს ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა, განსაკუთრებით ნევრასტენიკების, როლებს. კარგად ასრულებს ნეზნამვოს (უდანაშ. დასჯილნი), ნახმანს, ებრაელებში) გლუხოვცევს (დღენი ჩვენი ცხოვრებისა), პატარა კახს (პატარა კახი) და სხ.

თბილისისა და ქუთაისის სცენის გარდა, **ნ. გ.** პროვინციის სცენაზედაც მონაწილეობს ხოლმე: რამდენსამე ზაფხულს ხონში ხელმძღვანელობდა წარმოდგენების მმართველთ.

ბუნებით ნიჭიერი, **ნ. გ.** მშრომელი და სასცენო ხელოვნების ნამდვილი მოყვარულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოეთის თეატრი

### ე. როსტანის ახალი პიესა ,,შანტეკლერ"-ი

მოახლოვდა ე. როსტანის ახალი პიესის „შანტეკლერ"-ის სცენაზე დადგმის ხანა, და



საფრანგეთის გამოჩენილი დრამატურგი
**ედ. როსტანი**
მისი ახალი პიესის „შანტეკლერი"-ს გამო

ამ გარემოებამ საზოგადო ყურადღება მიიქცია. და მართლაც, პიესა, რომელშიაც ყველა მოქმედნი პირნი—მხოლოდ ფრინველნი და ოთხფეხი ცხოველებია, დიდაც არის ესედენ დიდის ყურადღების ღირსი.

თუმცა პრესსაში აქა-იქ ცოტა რამ ნაწყვეტებიც კი იყო ამ პიესიდან მოყვანილი, მაგრამ აქამდე მაინც არა ჰქონდათ ამ დრამატიულ ნაწარმოებზე ნამდვილი წარმოდგენა: ზოგს ასე ეგონა, თითქო როსტანმა „რეინიკე კუდა-მელა" გადმოაკეთაო სასცენოდ, ზოგი მას არისტოფანეს-მიერ ნაკარნახვე სატირადა სთვლიდა, ზოგს-კი ზოოლოგიურ ხასიათის სასცენო (წარმოსადგენ) ნაწარმოებად მიაჩნდა.

ხოლო ნამდვილად-კი ეს არის ერთი უბრალო ისტორია... საქათმეთისა. ასე ამტკიცებს, მაგალითად, თვით ავტორი, რომელმაც გაზ. „ფიგაროს" თანამშრომელს გაუზიარა პიესის ნამდვილი შინაარსი.

„1901-სა თუ 1902 წ., —ამბობს ავტორი, —მე დავსეირნობდი კამბოს (როსტანის საზაფხულო სამყოფია) მიდამოებში. დაბა მირმონტის მახლობლად მე თავს წავაწყდი ერთი გლეხკაცის კარმიდამოს; უბრალო სახლ-კარს ჩვეულებრივი ბაკი და გომური ამშვენებდა. ჩემი ყურადღება საქათმემ მიპყრო და ჩემს უნებურად მის ბჭესთან გავჩერდი. უნდა მოგახსენოთ, რომ იქ არაჩვეულებრივი არაფერი ყოფილა, ისეთი საქათმე იყო, როგორიც ბევრგან სხვაგანაც მინახავს: სამტრედე განყოფილება, ღობე; ერთ ალაგას თავმოყრილი ნაკელი და გარეშემო აუარებელი ქათმები, იხვები, ინდაურები, ციცირები; იქვე თბილ მზის სხივებზე გაწოლილიყო და ლაზათიანად სთვლემდა ხატაურა კატა, რომლის გვერდითაც ზარმაცად მიაბაჯუნებდა პატარა ფინია. ერთის სიტყვით, სულ უბრალო, ჩვეულებრივი ეზო იყო. ერთბაშად, საიდღანაც გაჩნდა მამალი: ამაყად თავმოღერებული, ყოყლოჩინა, თამამი, მრისხანე; ნაბიჯი — გმირული და რაინდული, შესახედაობა—ვაჟკაცური; მის გარეშემო მყოფთ როცა გადახედავდა, აშკარად ეტყობოდა ზიზღი და მრისხანება, ერთმანეთში არეული. იმგვარად მიაბიჯებდა, როგორც მოკრივეებმა იციან, როგორც რაინდმა ვაჟკაცმა, რომელიც სუნით დაეძებს საფრთხესა და სასიყვარულო თავ-გადასავალს, როგორც მეფე თავის ქვეშევრდომთა შორის.

„და უეცრად, მოულოდნელად ამ სურათში მე დავინახე მზა-მზარეული ქარგა პიესისა. ეს აზრი-კი არა ყოფილა, ეს იყო ნამდვილი სანახაობა. მე დავინახე არა ხორც-შესხმული ადამიანი ცხოველთა სამოსელში, არამედ სწორედ ისეთი სცენა, როგორც ჩემს თვალწინ ხდებოდა. მე ვიგრძენ, რომ შესაძლებელი იყო აქედან შექმნილიყო ჭეშმარიტად ღრმა—ხალხური მხატვრული ნაწარმოები. შემდეგში ბევრი ვინანე, რომ ფოტოგრაფიით ვერ გადავიღე ეს სურათი.

— მაგრამ ფიქრი ნუ გაქვთ, —სთქვა როსტანმა,—თქვენ იმ ეზოს ნახავთ პირველ მოქმედებაში სცენაზე სწორედ ისე, როგორც მე ვნახე ნამდვილად.

„ამ სანახაობამ,—განაგრძო დიდმა დრამატურგ-პოეტმა,—სულ მთლად შემიპყრო, და იმდენად მიმიზიდა, რომ შემდეგში სშირად დავდიოდი მირმონტში იმ საქათმის სანახავად, და მალე ჩემს გონებაში უკვე წარმოიშვა დედააზრი პიესისა".

მაგრამ ამ მხატვრულ კონცეპციიდან სცენაზე შესრულებამდე დიდი მანძილი იყო. ამიტომ როსტანმა დაიბარა კამბოს თავისი ახლო მეგობარი—კოკლენი - უფროსი. პირველ წუთიდანვე როსტანს კოკლენი-უფროსი წარმოდ-

გენილი ჰყავდა მამლის როლისთვის. პოეტმა გაუზიარა არტისტს თავისი გეგმა.

— თანახმა ხარ თუ არა, — ჰკითხა როსტანმა, — მთელი საღამო ისე გაატაროთ, რომ არც პირი გიჩნდეთ, არც ხელები, გეცვათ ფრინველის ტანისამოსი და პატიოსნურად და გულწრფელად ითამაშოთ ნამდვილი მამალი?

„საწყალი კოკლენი! ახლაც თვალწინ მიდგას მისი ფერმკრთალი სახე... აუწერელია მისი მაშინდელი მრისხანე გამომეტყველება. აგრამ მალე დამშვიდდა, რადგან ჩქარა მიხვდა ჩემს იდეას. და ამის შემდეგ-კი თავდავიწყებამდე გაიტაცა ამ როლმა“.

რაკი მამლის როლის ამსრულებელი მზადა ჰყავდა, როსტანი მალე მუშაობას შეუდგა. ერთხელ, როდესაც იგი „რომანს მელიას შესახებ“ და მის ისტორიას კითხულობდა, მის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა შიგ ამოიკითხა, რომ ამ რომანის უმთავრესი მგმირი მამალი—მე-XIII საუკუნეში რამდენჯერმე სცენაზედაც კი წარმოედგინათ.

აქ აღნიშნული პიესაც, რასაკვირველია, წარმოიშვა, სხვათა შორის, ამ ძველის-ძველ წყაროების გავლენითაც. 1904 წელს იგი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ავტორის ავადმყოფობამ, ხოლო მსახიობის კოკლენის გარდაცვალებამ, იმდენად შეაფერხა საქმე, რომ მისი სცენაზე წარმოდგენა აქამდე მოუხერხებელი შეიქმნა.

დ. ჯ.

## ქართული თეატრი

### „სად მიხვალ?“ და „მარგარიტა გოტიე“

ბოლო ხანს ჩვენს თეატრს სიცოცხლე დაეტყო. ქართულ წარმოდგენებზე მრავალი საზოგადოება ესწრება.

ეს მოვლენა, რასაკვირველია, აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ამ ხანად წარმოდგენებში მონაწილეობას იღებენ ქ-ნი ნინო ჩხეიძე და ლადო მესხიშვილი — ეს თვალსაჩინო ვასკვლავნი ქართულ სასცენო ხელოვნებისა.

უკანასკნელ კვირის განმავლობაში წარმოდგენილ იქმნა სენკევიჩის რომანიდან გადმოკეთებული დრამა „სად მიხვალ?“ და ა. დიუმას-შვილის უკვდავი „მარგარიტა გოტიე“.

პირველ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო ლადო მესხიშვილმა, რომელიც პეტრონიუსის როლს თამაშობდა. ბევრს არას ვიტყვით თვით ლადო მესხიშვილზე, რომელიც სრული განხორციელება იყო რაინდულ დიდობითა და ზვაურ სიამაყით შემკულ პეტრონიუსისა. მოვიხსენიებთ მხოლოდ, რომ ამ წარმოდგენამ ცხად ჰყო, რომ ჩვენს მივიწყებულ სცენას ჰყავს ისეთი მსახიობნი, რომელთაც უცილობელი სასცენო ნიჭი აქვთ და, თუ თვით არ ძალუძთ სცენის თვალის მჭრელ ვარსკვლავებად გადაიქცნენ, ის კი შეუძლიანთ, რომ სცენაზე საუკეთესო მსახიობებს ღირსეული პარტნიორობა გაუწიონ. მე ვამბობ ბ. ზარდალიშვილზე, რომელიც ამ დღეს, მართალია, უნაკლულო არ იყო, მაგრამ მისს თამაშობაში საოცარი წინმსვლელობა მოსჩანდა.

„მარგარიტა გოტიე“ ში მონაწილეობა მიიღო ნინო ჩხეიძემ, რომელიც მარგარიტას როლს თამაშობდა. ნინა ჩხეიძე ამ დღეს შეუდარებელი იყო... მან სავსებით, უნაკლულოდ და საკვირველის ბუნებრივობით განასახიერა მშვენიერი, ნარნარი, მრავალ გულთა მიმზიდველი მარგარიტა გოტიე, რომელსაც ბედი ჯერ ჯადოსნური ნეტარებით უღიმოდა, მაგრამ ბოლოს ამავ ბედმა საშინელის ცინიზმით შეჰბღალა მისის გულის მასულდგმულებელი წმიდათა-წმიდა.

არმანის როლში ბ. ზარდალიშვილი მშვენიერი იყო. მსახიობმა თავიდანვე ბუნებრივი ტონი აიღო და ბოლომდე სამაგალითოდ ჩაატარა თავისი როლი.

ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ახალგაზრდა მსახიობს მგალობლიშვილს, რომელსაც, მართალია, ამ საღამოს ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა, მაგრამ იგი უეჭველს სასცენო ნიჭს წარმოადგენს; მას ეჭირვება შრომა და კიდევ შრომა.

იმ მსახიობებს, რომელნიც კარგა ხანია დასში ითვლებიან და ამ ხნის განმავლობაში სცენაზე სიარული და თავის დაჭერა ვერ შეუსწავლიათ, შემდეგ ვიტყვით.

Ro-Ben

## სომხური თეატრი

### ა, აჰარონიანი და მისი პიესა „შეთქმულნი“

ქართველ მკითხველს გაგონილი ექნება სომხეთის ნიჭიერ მწერლის, ავეტის აჰარონიანის სახელი. რამდენიმე მის თხზულებათაგანი გადათარგმნილია ქართულ ენაზე. აჰარონიანი უკვე ერთი წელიწადია შეიპყრეს და ამ ჟამად როსტოვის ციხეშია, სადაც მან დასწერა, სხვათა შორის, ერთი ახალი, სიმბოლიური 3 მოქ. პიესა: „შეთქმულნი“ (უხტავწნერ), რომელიც ამ თვის 25-ს სომხეთა დრამ. დასმა წარმოადგინა არტისტიულ საზოგ. თეატრში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც ცოტად თუ ბევრად გაუცვნია აჰარონიანის ნაწარმოებნი, იგი უსათუოდ დაგვეთანხმება, რომ ეს მწერალი სომეხ ერის მწუხარების, ვაების, მისი მუდმივი დევნისა და უბედურების მგოდებელია. ვიდრე ოსმალეთში კონსტიტუციონალური წესწყობილება დამყარდებოდა, სომეხი ხალხი დევნილი და ტანჯული იყო ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში.

ამ პერიოდში აჰარონიანი სწერდა სურათებს, ლექსებს, პოემებსა და რომანებს, რომელთა შინაარსი ოსმალეთის სომეხთა ცხოვრება იყო.

კონსტიტუციის შემოღების შემდეგ მან ერთბაშად შესწყვიტა ამ კილოთი წერა. შარშან მარტის დამლევს მოხდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა ადანაში, რომელმაც იმსხვერპლა რამოდენიმე ათი-ათასი უმანკო მსხვერპლი. პოეტის გრძნობიერმა სულმა ვერ აიტანა ცათამდე მღაღადებელი ამ გვარი უსამართლობა და, მიუხედავად იმისა, რომ ციხეშია დამწყვდეული, მაინც დასწერა ეს პიესა, რომელსაც ახალი მიმართულება შემოაქვს სომხურს დრამატურგიაში, ვინაიდან აქნობამდის ორგინალური პიესა, სიმბოლიურის სტილით, არავის დაუწერია.

ელემენტარული აქსიომაა, რომ ყველა მშრომელი ხალხი, რომელ ცის ქვეშაც უნდა ცხოვრობდეს, ყველგან დევნილია. აჰარონიანის მშრომელი სომეხი გლეხობა ზედმეტათაა დევნილი.

მას სდევნიან, როგორც მშრომელს!..

მას სდევნიან, როგორც სომეხს!..

ხალხი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ იყრება და მიდის, მიდის იმდენ ხანს, ვიდრე ცა, ის რომლის ქვეშაც სცხოვრობდა, გათავდებოდეს.

ერთი შეთქმულთაგანი, რომელსაც არავითარი საკუთრება არ აბადია, რომლის ცოლიც და შვილიც ხალხია, გზას ულობავს, არ უშვებს, რომ წავიდნენ და არწმუნებს, ცის ქვეშეთ მშრომელი ხალხი ყველგან დევნილიაო. ხალხი არ უჯერებს, წინ მიიწევს, მაგრამ შეთქმული აჩვენებს დაჭრილ კაცს, რომელიც ვითომ გზაზე წევს. ხალხი მას ვერ ხედავს და შეთქმულს მატყუარას უწოდებს, მაგრამ იგი, თავის სიტყვის დასამტკიცებლად, კლდიდან გადავარდება და მით გზას ულობავს ხალხს. ხალხი რწმუნდება, რომ შეთქმული მისი გულწრფელი მზრუნველი ყოფილა, რადგანაც თავი გაიმეტა და კლდიდან გადავარდა. ხალხი უკან ბრუნდება და იწყობს ახალ ცხოვრებას, ხელახლად იწყობს თავისის სისხლით და ოფლით გაჟღენთილი სამშობლოს აშენებას. „მწუხარება“, რომელიც ყოველ ჟამს სდევნის ხალხს, მოევლინება შეთქმულს; უკანასკნელი ქმედარება პირველს—მეამბოხეთ. „მწუხარება“ ეამბოხება, — შეთქმული კვდება.

პიესა წარმოადგენს სურათებს, აპოთეოზებს, იმ განსხვავებით, რომ მოქმედნი პირნი ლაპარაკობენ. მოქმედებათა შორის არავითარი კავშირი არ არსებობს: გარდა ამისა, პიესაში მრავალი ადგილი ბუნდოვანადაა გამოყვანილი.

ჩვენის აზრით ამა თუ იმ ნაწარმოების სიმბოლიზმი იმაში კი არა მდგომარეობს, რომ მაყურებელთა ანუ მკითხველთათვის სრულიად გამოურკვეველად დარჩეს, არამედ იმაში, რომ მაყურებელი, ანუ მკითხველი ჩააფიქროს და რაიმე დასკვნა გამოატანინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ყოველგვარი სისულელე დასწეროთ და სიმბოლიურ ნაწარმოებად მონათლოთ.

Artemius

## მ უ ს ი კ ა

**მესამე სიმფონიური კონცერტი.** როგორც ვიცით, ყოველ წელს თბილისში სისტემატიურად იმართება სიმფონიური კონცერტები, რომლის მესამეთაგანი დიდის სიამოვნებით მოვისმინეთ ამ თვის 27-ს, სახაზინო თეატრში.

კონცერტს ხელმძღვანელობდენ ბ-ნნი ნიკოლაევი და იაბლონკო, საკრიპკაზე დამკვრელთ ვილშაუსა და წოვიანოვის მონაწილეობით. კონცერტის პირველი ნაწილი შესდგებოდა ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიისა და ჩაიკოვსკის concerto-დან.

ბეთჰოვენის ამ ნაწარმოებმა, მის ცხრა სიმფონიათა შორის მშვენიერთაგანმა ძალიან კარგად ჩაიარა. უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მცირე Allegretto-მ; უმთავრესად სასიამოვნო იყო ის ადგილი, სადაც ვიოლონჩელები უკრავდენ მელოდიას. გრძნობით გამსჭვალულნი, საკრიპკების accompognement-ით.

ბ. ნიკოლაევი დიდის ოსტატობით ხელმძღვანელობდა presto და Allegro con brio. უკვდავის ბეთჰოვენის შემდეგ დიდის სიამოვნებით მოვისმინეთ ჩაიკოვსკის concerto-ს პირველი ნაწილი, რომელიც ბ. ვილშაუმ ძლიერ კარგად შეასრულა.

თუმცა მის passage-ბი არ იყო ძლიერი, მაგრამ andante-ბი კი სასიამოვნოდ ისმოდენ.

კონცერტის მეორე ნაწილს, ჩვენდა სამწუხაროდთ ყური ვერ დავუგდეთ, რადგანაც სხვაგან ვიყავით მიწვეული.

Violoniste D. Davidian.

რედაქ.-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

Отдѣленіе скоропечат. „Прогрессъ“ Дворцовая ул., домъ груз. Дворянства.